

თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სხდომის

ოქმი N11

ქ. თელავი

20.11.2020 წელი

თავმჯდომარეობდა: დავით გოგოშვილი

ესწრებოდნენ კომისიის წევრები: ტიტე დარეჯანიშვილი; ზურაბ მუსაევი; ალექსანდრე შათირიშვილი; ნანა ხვისტანი; აბრამ მახარიაშვილი; ზურაბ ნაცარაშვილი; ზურაბ ლილუაშვილი.

სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ: დეპუტატები - ფრაქცია „ქართული ოცნება-კონსერვატორები“ -ს თავმჯდომარე - მაია მარკოზაშვილი; სოციალური, კულტურის, განათლებისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე - ლევან კოჭლოშვილი; იოსებ პარწიკანაშვილი. ასევე ესწრებოდნენ: საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე - გიგა ორკოდაშვილი; საკრებულოს აპარატის უფროსი - ტარიელ გალახვარიძე; საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო და იურიდიულ საქმეთა კომისიაში მოწვეული სპეციალისტი - მედეა ჩაფურიშვილი; საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიაში მოწვეული სპეციალისტი - ლია ფარსადანიშვილი; საკრებულოს საზოგადოებასთან ურთიერთობისა და პიარის სპეციალისტი - ნიკოლოზ ესიტაშვილი; თელავის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი - ნათია ვაყელიშვილი; თელავის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსი - მაია დათუნაშვილი; თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობის, არქიტექტურისა და ძეგლთა დაცვის სამსახურის უფროსი - ლევან ღარიბაშვილი. მოქალაქე - მაკა მოსიაშვილი.

თავმჯდომარემ კომისიის სხდომაზე დამსწრე საზოგადოებას წარუდგინა დღის წესრიგი

დღის წესრიგი:

1. „თელავის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის პროექტის“ განხილვის და „თელავის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების დოკუმენტის 2021-2024 წლებისთვის“ განხილვის შესახებ.

მომხსენებელი - დ. გოგოშვილი.

მოისმინეს: 1. „თელავის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის პროექტის“ განხილვის და „თელავის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების დოკუმენტის 2021-2024 წლებისთვის“ განხილვის შესახებ.

აზრი გამოთქვას: დ. გოგოშვილმა ზოგადად ისაუბრა პრიორიტეტების დოკუმენტზე. აღნიშნა, რომ „თელავის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების დოკუმენტი 2021-2024 წლებისთვის“ შედგენილია საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 76-ე მუხლის მოთხოვნათა გათვალისწინებით. მან ასევე ისაუბრა თელავის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის პროექტთან დაკავშირებით. დ. გოგოშვილმა აღნიშნა, რომ კომისიის მიერ შემუშავებული გარკვეული სახის რეკომენდაციები, წერილობით გაიგზავნება მუნიციპალიტეტის მერიაში.

კომისიის წევრებმა და დამსწრე დეპუტატებმა მსჯელობის შემდეგ დააყენეს შემდეგი ინიციატივები:

გ. ორკოდაშვილი - საკრებულომ 2020 წლის 31 ივლისს N21 დადგენილებით დაამტკიცა მის მიერ ინიცირებული საკითხი „თელავის მუნიციპალიტეტის წარმატებული სპორტსმენების და სპორტული კლუბების წევრი, მაღალი სპორტული შედეგების მქონე სპორტსმენებისა და მათი მწვრთნელების წახალისების მიზნით ფულადი ჯილდოს დაწესების შესახებ“, რომელიც 2021 წლის ბიუჯეტის პროექტში არ არის გათვალისწინებული - დაახლოებით 30,0 ათ. ლარის ოდენობით. ასევე მისი თქმით ესმის პანდემიისგან გამოწვეული სირთულეების და ისიც რომ ინფრასტრუქტურული მიმართულებით თანხები შემცირებულია, მაგრამ მცირე ბიუჯეტის მიზნით ინიცირება, რომელიც ეხება ქ. თელავში „ძველ ბაღში“ ფანჯატურის მოწყობას, გათვალისწინებულ იქნას 2021 წლის ბიუჯეტში - 40,0 ათ. ლარის ოდენობით.

ტ. დარეჯანიშვილი - მაღალმთიანი სოფლების: თეთრწყლები, პანტიანი, სეროდანი, ნადიკვარი და კრბაძე - მუდმივმაცხოვრებელი სულ 8 ოჯახისთვის, თვის განმავლობაში 8 კგ. თხევადი აირის შეძენა, საშუალოდ 40,0 ათ. ლარი. იქნებ შესაძლებელი იყოს აღნიშნული თანხის ბიუჯეტში მობილიზება.

ი. პარწიკანაშვილი, ლ. კოჭლოშვილი - გადაიხედოს ა(ა)იპ კახეთის დანიშნულების ადგილის მართვის ორგანიზაცია-ვიზით კახეთის დაფინანსება -(80,0 ათ. ლარი), ასევე შემცირდეს თელავის მუნიციპალიტეტის მერიის და საკრებულოს წარმომადგენლობითი, ხარჯები და აღნიშნული თანხები დაემატოს სოციალურ პროგრამებს.

ი. პარწიკანაშვილი - წარმოდგენილი პროექტის მიხედვით, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გამზარი და საფრთხის შემცველი ხეების მოჭრის და ვარჯის ფორმირების სამუშაოების დასაფინანსებლად გამოყოფილია 25,0 ათ. ლარი - არის თუ არა აღრიცხვა გაკეთებული მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რამდენი ასეთი ხე დგას, რადგან 3-4 წელის სოფ. აკურაში არცერთი ასეთი ხე არ მოჭრილა. რაზეც ლ. დარეჯანიშვილმა უპასუხა, რომ სოფლის წარმომადგენლებისგან მოიძებნა ინფორმაცია, რის მიხედვითაც მოხდება თანხის გახარჯვა.

ლ. კოჭლოშვილი - ინფრასტრუქტურულ ღონისძიებებში - წყალმომარაგების ღონისძიებებში - მ.შ. 2021 წელს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხების თანადაფინანსება, საზედამხედველო მომსახურება - 282,0 ათ. ლარი, ჩამოთვლილია სოფლები და სხვა. ეს ფორმირება „და სხვა“ ხომ არ მოიცავს მიწისქვეშა წყლებს??

ნ. ვაყელიშვილმა განმარტა - „და სხვა“ ითვალისწინებს, შესრულებული სამუშაოების შემდეგ თუ წარმოიშვა ეკონომია ამ მუხლში, გვექონდეს საშუალება ამ ღონისძიებების შესაბამისი სამუშაოების შესასრულებლად., რადგან სხვა მუხლიდან ვერ მოხდება თანხის გადატანა.

ლ. კოჭლოშვილი - პარკების, სკვერების და სხვა გამწვანების ზონების მოწყობა და მოვლა-პატრონობის ღონისძიებები - 100,0 ათ. ლარი: რამდენი წელია ვითხოვ სოფ. ართანაში სკვერის მოწყობას, იქნებ წელს მაინც მოხდეს ჩამონათვალში

ლ. კოჭლოშვილი - მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ასფალსაფარიანი გზების ორმოული და ეკრანული შეკეთება 300,0 ათ. ლარი 10000კვ. მ ფართზე - კარგი იქნება ეს თანხა არ მოხმარდეს მხოლოდ ქ. თელავს და თანაბრად იქნას გადანაწილებული მუნიციპალიტეტის მთელ ტერიტორიაზე. რაზეც ლ. ღარიბაშვილმა უპასუხა - სოფლის წარმომადგენლებთან ერთად მოხდება აღრიცხვა რა ფართობის ორმოული და ეკრანული შეკეთებაა განსახორციელებელი.

ზ.მუსაევი - 1. მოსახლეობის ჯანმრთელობაზე ზრუნვა ჩვენი უპირველესი მოვალეობაა. სოციალურ პროგრამებში იქნებ ისე მოხდეს თანხების განაწილება, რომ წლის ბოლოსთვის თანხის დამატება არ იყოს საჭირო.

დეპუტატების აზრით, სოციალური პროგრამები დასახვეწია, წინააღმდეგ შემთხვევაში წლის ბოლოსთვის ყოველთვის დაგვაკლდება თანხები.

მუნიციპალიტეტის სერვისების, მათ შორის სოციალური პროგრამების სწორად დაგეგმვისთვის საჭიროა კვალიფიციური კვლევის ჩატარება, რისთვისაც საჭიროა გარკვეული თანხების მობილიზება.

დეპუტატებმა ასევე დააყენეს საკითხი, რომ 2021 წლის ბიუჯეტში გათვალისწინებულ იქნას თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციულ შენობასთან პანდუსის მოწყობა.

დ. გოგოშვილმა აღშნა, რომ სასურველია, რომ მუნიციპალიტეტმა დაწეროს მოსახლეობისთვის, ისეთი სერვისების მიწოდება, რომელიც წაადგება არა მარტო სოციალურად დაუცველი ფენის ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესებას. არამედ ზოგიერთი სოციალური პროგრამის მიღევასაც შეუწყობს ხელს, რაც თავისთავად არის დადებითი ტენდენცია და ემსახურება ბიუჯეტის სწორად და რაციონალურად დაგეგმვას.

**გადაწყვეიტეს:** კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია, დეპუტატების მიერ წარმოდგენილი შენიშვნები/რეკომენდაციები, წერილობით გაეგზავნოს თელავის მუნიციპალიტეტის მერიას, მათი 2021 წლის ბიუჯეტის პროექტში გათვალისწინების მიზნით.

საფინანსო-საბიუჯეტო  
კომისიის თავმჯდომარე



დ. გოგოშვილი